ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4184410

ნომერი: AR1631994

თარიღი : 21.09.2018

გაცემის თარიღი : 25.09.2018

გაცნობის თარიღი : 25.09.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N25-N27-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან (ნაკ.N16/4);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნატალია გლინსკაია პ/ნ 01003010159
- ზ. საკანდელიძის ქ. #21, კ/ფ#1

ორგანიზაცია:
- შპს მეტრა დეველოპმენტი კოდი: 404982033

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 21 სექტემბრის AR1631994 განცხადება, პასუხად გაცნობებთ რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, სსზ-2-ში განაშენიანების რეგულირების მინიმალური პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები: მინიმალური ფართობი 700 კვ.მ, მინიმალური სიგანე - 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე - 30 მეტრი; საპროექტო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.18.03.016.045 (ფართობი 190 კვ.მ.) არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პარამეტრებს, ამასთან საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 2-ში (სსზ-2) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებას ესაჭიროება სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

ამასთანავე განგიმარტავთ, რომ საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-სთვის დადგენილი პარამეტრებია: კ1-0,5 (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის), კ2- 4,6, კ3 - 0,2. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო მიწის ნაკვეთზე გადამეტებულია ზონისთვის დადგენილი პარამეტრები, საჭიროა ახალი განაცხადი ატვირთოთ შესაბამისი სამსახურის ელექტრონული მომსახურების ვებ გვერდზე urban.tbilisi.gov.ge.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განცხადება შესაბამისი მოთხოვნითა და ნომენკლატურით ატვირთოთ საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge .

დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაგდენის სტადიაზე დამატებით უნდა წარმოადგინოთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.